საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 2

" 17 " ივნისი 2021 წ.

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, ამავე მუხლის ამავე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს შემდეგი კანდიდატები:

ა) გიორგი გოგიაშვილი (12 ხმა);
ბ) გოჩა აბუსერიძე (12 ხმა);
გ) ლევან თევზაძე (11 ხმა);
დ) ქეთევან მესხიშვილი (11 ხმა);
ე) გიორგი შავლიაშვილი (12 ხმა);
ვ) რევაზ ნადარაია (11 ხმა);
ზ) ბიძინა სტურუა (12 ხმა);
თ) ეკა ზარნაძე (12 ხმა);
ი) ლაშა ქოჩიაშვილი (12 ხმა).

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს წარდგინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ წარდგინების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

კანდიდატის შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებული
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით აღნიშნული პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა გოჩა აბუსერიძე.

2020 წლის 10 დეკემბერს შედგა გოჩა აბუსერიძის საჯარო მოსმენა.

კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, გოჩა აბუსერიძე შეფასდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრის მიერ. კომპენტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატის მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გათვალისწინებული შეფასებები მათ დასაბუთებებთან ერთად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ვინაობის მითითებით, გასაჯაროების მიზნით 2021 წლის 31 მაისს განთავსდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

კანდიდატმა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დააგროვა **1139 ქულა,** ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თორმეტმა წევრმა მიიჩნია, რომ გოჩა აბუაერიძე სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულებით გოჩა აბუსერიძე გადავიდა საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე. კანდიდატმა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით დაიკავა მეორე ადგილი.

2021 წლის 17 ივნისს გამართულ საბჭოს ღია სხდომაზე კენჭი ეყარა გოჩა აბუსერიძის კანდიდატურას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით. აღნიშნული კენჭისყრის დროს კანდიდატმა გოჩა აბუსერიძემ მოიპოვა საბჭოს 12 წევრის (ნ.ქადაგიძე; ნ.მარსაგიშვილი; ვ.მშვენიერაძე; ქ.ცინცაძე; თ.ონიანი; დ.გვრიტიშვილი; თ.ლეონიძე; ი.ბონდარენკო; ლ.გზირიშვილი; ი.გელაშვილი; ზ.ხარებავა; თ.ღვამიჩავა) მხარდაჭერა.

01.12.2020

ს ა ე რ თ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

გოჩა აბუსერიძე

ასაკი: **47 წლის** დაბადების თარიღი: **12 ოქტომბერი, 1973 წ.** განათლება: **უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ)** სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **21 წელი და 2 თვე** სამუშაო ადგილი: **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე**	
განაცხადის შევსებისასა წარმოდგენილი დოკუმენტაცია	
განაცხადი	√
ავტობიოგრაფია/რეზიუმე	√
დიპლომი	√
შრომის წიგნაკის ამონაწერი/ნამსახურობის ნუსხა	√
ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ	√
ცნობა ნასამართლობის შესახებ	√
დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ	√

მოძიებული ინფორმაცია

რეკომენდაციები და კითხვარები
• **რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა** (სამი რეკომენდატორი) • **კითხვარის სტანდარტული ფორმა** (სამი რესპოდენტი)
შეჯამება: **რეკომენდაცია:** - **რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის -კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, კორექტულობას, შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, სამართლიანობას, გულწრფელობას, თავმდაბლობას, წესიერებას, კარგ ანალიტიკურ უნარებს, კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, გაწონასწორებულობას და ა.შ.** **კითხვარები:** - **გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.**

ინფორმაცია კანდიდატის აქტივობის შესახებ

- **კანდიდატის განაცხადში არსებული ინფორმაცია** (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
  - ✓ სერთიფიკატები

შეჯამება:

<u>გოჩა აბუსერიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- „ადამიანის უფლებათა დაცვა"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- „ადმინისტრაციულ სამართალში ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის პრობლემატური საკითხები". სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- „სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- „სამოსამართლო ქცევა და ეთიკა"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- „საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე სუსტი მხარის დაცვის თავისებურებანი სასამართლოში"; ესტონეთის განვითარების თანამშრომლობა. (ესტონეთი).
- **The Rights of the Interested Persons According to „Law of Georgia on Enforcement Proceedings" -** ევრაზიის მესამე მულტიდისციპლინური ფორუმი, EMF 2015; საერთაშორისო კონფერენცია.
- საარჩევნო დავების გადაწყვეტა და სხვა

<u>პედაგოგიური საქმიანობა:</u>

- გ. აბუსერიძე 2012-2020 წლებში იყო კაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი.
- 2017 წლიდან - იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი (მიმართულება: ქალთა წინააღმდეგ ძალადობა და ოჯახში ძალადობა).

<u>გამოქვეყნებული სტატიები:</u>

- გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალებში „მართლმსაჯულება და კანონი"; „ადვოკატი" და სხვა.

ინფორმაცია ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის <u>ინფორმაცია.</u>**
  - ✓ https://www.interpressnews.ge/ka/article/604939-iusticiis-sabchoshi-uzenaesi-sasamartlos-mosamartlis-tanamdebobaze-asarchevad-parlamentisatvis-carsadgen-kandidatta-shemdgom-etapze-gadaqvanis-miznit-kenchisqra-gaimarta/
  - ✓ https://netgazeti.ge/news/467557/
  - ✓ https://heretifm.com/?p=130694
  - ✓ http://qronikaplus.ge/?p=6804
  - ✓ https://ghn.ge/news/179082
  - ✓ https://imedinews.ge/ge/politika/118611/37-mosamartle-uvadod-dainishna
  - ✓ https://kutaisitoday.ge/?p=19762
  - ✓ http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=62284
  - ✓ https://netgazeti.ge/news/22476/
  - ✓ https://ipress.ge/new/iustitsiis-umaghlesi-sabtch-12/
  - ✓ https://expressnews.ge/?id=46629

- ✓ https://imedinews.ge/ge/politika/118611/37-mosamartle-uvadod-dainishna
- ✓ https://www.interpressnews.ge/ka/article/604939-iusticiis-sabchoshi-uzenaesi-sasamartlos-mosamartlis-tanamdebobaze-asarchevad-parlamentisatvis-carsadgen-kandidatta-shemdgom-etapze-gadaqvanis-miznit-kenchisqra-gaimarta/
- ✓ https://www.hsoj.ge/geo/media_center/news/1386-2019-07-22-qalta-mimart-dzaladoba-da-ojaxshi-

შეჯამება:

<u>გოჩა აბუსერიძის თაობაზე მედიაში არსებული ინფორმაცია:</u>

- **გოჩა აბუსერიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მედიაში დაიწერა შ.პ.ს „ჯორჯიან მანგანეზის“, ურეკის „ტროტუარების“ საქმეების შესახებ. გაშუქდა გოჩა აბუსერიძის უვადოდ განწესება, მისი მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში.**
- **მედია სივრცეში გავრცელებული ინფორმაციები იხილეთ ზემოთ მითითებულ ბმულებზე.**

ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელებში აქტივობისა და საჯარო გამოსვლების შესახებ

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაცია.**

შეჯამება:

- **კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელით.**

ინფორმაცია ფინანსური ვალდებულებების თაობაზე

- <u>სსიპ შემოსავლების სამსახური</u>
- <u>სს „კრედიტინფო საქართველო“</u>
- <u>ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია</u>
- **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
  - ✓ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრი
  - ✓ უძრავი ქონების რეესტრი

შეჯამება:

- **გოჩა აბუსერიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.**
- **აქვს მიმდინარე სესხები.**
- **აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ფიქსირდება „დახურული ვადაგადაცილება“.**
- **კანდიდატს საკუთრებაში აქვს: ბინა (67.1 კვ.მ), ქ. თბილისში და ბინა (34 კვ.მ), ქ. ბათუმში.**
- **მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.**
- **უძრავი ქონების რეესტრში არ იძებნება ინფორმაცია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მითითებული კანდიდატის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლისა (80 კვ.მ.) და მიწის ნაკვეთის (1200 კვ.მ.) შესახებ (სამტრედია, სოფ. საჯავახო).**

ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე

- <u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი</u>

შეჯამება:

<u>2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით:</u>

- **ასკ მუხლი 125, ნაწ. 6 („ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა“, 2 გაფრთხილება და ერთი ჯარიმა - 20 ლ.**

- ასკ მუხლი 125. ნაწ. 8 („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა“ ერთი გაფრთხილება და ერთი ჯარიმა - 10ლ.

(აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად)

ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების/ადმინისტრაციული სახდელების შესახებ

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაცია

შეჯამება:

- გ. აბუსერიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

ინფორმაცია მხარედ მონაწილეობის შესახებ

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან
- კანდიდატის მიერ განაცხადში ასახული ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
- საქართველოს გენერალური პროკურატურიდან შესაძლო დაზარალებულად ცნობის თაობაზე ინფორმაცია

შეჯამება:

- კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

ინფორმაცია პოლიტიკური აქტივობის შესახებ

- კანდიდატის მიერ განაცხადში ასახული ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
- პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი (შემომწირველთა ერთიანი სია)
  - ✓ www.monitoring.sao.ge

შეჯამება:

- გ. აბუსერიძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

სამართლებრივი დოკუმენტი

კანდიდატმა წარმოადგინა:

- სასამართლო გადაწყვეტილება
  - ✓ გადაწყვეტილება 1
  - ✓ გადაწყვეტილება 2
- პუბლიკაციები
  - ✓ პუბლიკაცია 1
  - ✓ პუბლიკაცია 2
  - ✓ პუბლიკაცია 3 თანდართული დასკვნით გ. აბუსერიძის ნაშრომის შესახებ

შეჯამება:

სასამართლო გადაწყვეტილება:

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N3/ბ-74-

2016წ. (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა).
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N3/47-09წ. (ქუთაისის მერიის ბრძანების არარა აქტად და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა).

<u>პუბლიკაციები:</u>
- The Rights of the Interested Persons According to „Law of Georgia on Enforcement Proceedings".
- "სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით".
- "პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში".

სამოსამართლო გამოცდილება:

სამოსამართლო უფლებამოსილება
• <u>მოსამართლის თანამდებობაზე განწესების/განთავისუფლების საფუძვლები</u>
შეჯამება: - მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 11 წელი. - 2009 წლის 30 ოქტომბრიდან დაინიშნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. - 2010 წლის 22 სექტემბრიდან დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ. - 2012 წლის 31 ოქტომბრიდან დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. - 2013 წლის 19 მარტიდან დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე. - 2017 წლის 25 მაისიდან გამწესდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით. - 2019 წლის 11 ოქტომბრიდან გამწესდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. - 2020 წლის 23 მარტიდან თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე.
სტატისტიკური ინფორმაცია წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე
• <u>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან ინფორმაცია</u>
შეჯამება: <u>2017 წლის ნოემბერი - 2020 წლის ნოემბერი</u> - საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -99,6%; ვადის დარღვევით - 0,4%. - გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -57%; ვადის დარღვევით - 43%. - გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 92,2%; შეცვლილი -7,8%.

- საანგარიშო პერიოდში (1029 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 849 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმე.

დამატებითი ინფორმაცია

- საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინფორმაცია
- კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია *(იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)*

შეჯამება:

საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები

- გოჩა აბუსერიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია; 27.05.2007).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი

- გ. აბუსერიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის II ჯგუფის მსმენელი (2009წ).
- იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში - 37-ე ადგილი.

- 2014 წლიდან -დღემდე - გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი. თემა „პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში“ (ამჟამად სტატუსი შეჩერებული აქვს).

- ჰყავს მეუღლე და შვილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**96**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - გოჩა აბუსერიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - გოჩა აბუსერიძე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ნაწილი ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი - **გოჩა აბუსერიძე**

ასაკი: **47 წლის**

დაბადების თარიღი: **12 ოქტომბერი, 1973წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული; გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი.**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **21 წელი**

სამუშაო ადგილი: **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, გოჩა აბუსერიძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

<u>1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე

სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, ობიექტურობას, კორექტულობას, შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, სამართლიანობას, გულწრფელობას, თავმდაბლობას, წესიერებას, კარგ ანალიტიკურ უნარებს, კანონმდებლობის საფუძვლიან ცოდნას, პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას, გაწონასწორებულობას და ა.შ.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

- გოჩა აბუსერიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს მიმდინარე სესხები და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა"; 2 გაფრთხილება; 1 ჯარიმა - 20 ლ; გადახდილია დროულად; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა"; 1 გაფრთხილება; 1 ჯარიმა-10 ლ; გადახდილია დროულად).

წარმოდგენილი და მოძიებული ინფორმაცია იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ კანდიდატი არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის კორექტული და პასუხისმგებლიანი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად

კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

კანდიდატი არის მედეგი, პრინციპული, მიუკერძოებელი და სამართლიანი, აღნიშნული ასევე გამოიკვეთა მასთან გასაუბრების პროცესში, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, გოჩა აბუსერიძე მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, გოჩა აბუსერიძის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

კანდიდატი ყოველთვის ინარჩუნებს კორექტულობას, სამოსამართლო ეთიკის წესებს, უფრთხილდება მოსამართლის მაღალ სტატუსს, ფლობს ემოციების მართვის უნარს. არაეთიკური ან არაკორექტული ქცევა მისი მხრიდან არ გამოვლენილა, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, გოჩა აბუსერიძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა გოჩა აბუსერიძის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება (საქმე N3/ბ-74-2016, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა).

გავეცანი გოჩა აბუსერიძის შემდეგ პუბლიკაციებს:
- The Rights of the Interested Persons According to ,,Law of Georgia on Enforcement Proceedings";
- "სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით";
- "პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში".

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ გოჩა აბუსერიძე ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა. იგი ასევე კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და სამოსამართლო საქმიანობაში სწორად იყენებს მათ.

კანდიდატმა ისაუბრა დასაბუთებული გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე, სიღრმისეული იყო მისი განმარტებები გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე, აღნიშნული უფლების კონტექსტში ისაუბრა ამერიკულ და ევროპულ სტანდარტებზე, მათ შორის არსებულ განსხვავებაზე, ისაუბრა ე.წ. „სამწვეროვან ტესტზე" და მის ელემენტებზე, რაც ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატი იცნობს ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებს და ახერხებს მის ეფექტურ იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე სამართალშემოქმედების პროცესში. კანდიდატმა სიღრმისეული ცოდნა გამოავლინა ბავშვთა უფლებების ნაწილში, იმსჯელა ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე, ზიანის ანაზღაურების უფლებაზე. კანდიდატი შეეხო სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხებს და ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვები.

კანდიდატი სწორად და სიღრმისეულად აყალიბებს ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ ხედვებს, მაგალითად ადმინისტრაციულ სამართალში პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით კანდიდატმა სწორი და ამომწურავი პასუხი გასცა, რაც მიუთითებს მისი ცოდნის ხარისხზე ამ სამართლებრივ საკთხებთან დაკავშირებით.

გასაუბრებაზე კანდიდატის მხრიდან გაცემული პასუხები მაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ კანდიდატი გამოირჩევა თეორიული საფუძვლების კარგი ცოდნით. აუცილებლად უნდა მიეთითოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხზე, რაც, ვფიქრობ, ადასტურებს კანდიდატის მაღალ პროფესიონალიზმსა და მასში მოსამართლისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების არსებობას. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კანდიდატი ახდენს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ასპექტის ჩაღრმავებულ კვლევას, დიდ ყურადღებას უთმობს თითოეული ფაქტის შესწავლას და ანალიზს, ყველა საქმეს უდგება ინდივიდუალურად, რასაც ასევე ადასტურებს გასაუბრების პროცესში მისი მხრიდან განვითარებული მსჯელობები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 **ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

გოჩა აბუსერიძეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 12 წლიანი სტაჟი, რაც მიუთითებს მის პროფესიულ გამოცდილებაზე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობას ზემოთ უკვე შევეხე და დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გადაწყვეტილებაში განვითარებულია ლოგიკური მსჯელობა, ყველა საკვანძო საკითხზე გაცემულია სრული და ამომწურავი პასუხი, გადაწყვეტილებები არის ნათელი და გასაგები, დაცულია გადაწყვეტილებების წერის სტრუქტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 **ქულით.**

3. წერის უნარის მახასიათებელი

კანდიდატის წერის უნარს ვაფასებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზიდან გამომდინარე და ვთვლი, რომ კანდიდატს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით, იგი გადაწყვეტილებებში ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, გადაწყვეტილებები არის სტრუქტურირებული, სისტემაზე დაფუძნებული და მარტივად აღქმადი. გადაწყვეტილებები არ არის სპეციალური იურდიული ტერმინოლოგიით გადატვირთული, რაც პროცესის მონაწილეებს აძლევს შედეგის მარტივად აღქმის შესაძლებლობას.

კანდიდატთან მიმართებაში ამავე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა მისი პუბლიკაციები, რომლებიც თან ერთვის მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

გოჩა აბუსერიძე აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, მისი მსჯელობა არის ლოგიკური და მწყობრი, გააჩნია მოსმენის კულტურა. გასაუბრების პროცესში იყო ღია და გახსნილი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 **ქულით.**

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, გოჩა აბუსერიძის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -99,6%; ვადის დარღვევით - 0,4%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -57%; ვადის დარღვევით - 43%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 92,2%; შეცვლილი -7,8%.

საანგარიშო პერიოდში (1029 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 849 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმე.

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად ახორციელებს საქმეთა ნაკადის მართვას, არის ორგანიზებული, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტაბილურობის მაჩვენებელი არის საკმაოდ მაღალი, ასევე მაღალია საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი.

კანდიდატის მხრიდან პროცესის მონაწილეთა მიმართ უდიერი, არაეთიკური ან/და ღირსების შემლახავი ქცევა გამოვლენილი არ არის, რაც მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 14 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი.
კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
კანდიდატს აკადემიური მიღწევები არ აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში.
კანდიდატი არის რამდენიმე სამართლებრივი ნაშრომის ავტორი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 96 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**97**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გოჩა აბუსერიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გოჩა აბუსერიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი გოჩა აბუსერიძე გამოირჩევა თავშეკავებულობით, პრინციპულობითა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. ამასთან, მას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ გოჩა აბუსერიძე იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	გოჩა აბუსერიძე ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ კანდიდატი კარგად იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის II ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 37-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. ამასთან, მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი.
წერის უნარი	20	20	გოჩა აბუსერიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N3/ბ-74-2016წ., პუბლიკაციები: The Rights of the Interested Persons According to ,,Law of Georgia on Enforcement Proceedings", „სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით", „პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში".

			ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში კარგად განმარტავს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. იგი საკუთარ არგუმენტებს გადმოსცემს ნათელი და მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი ენით. აღსანიშნავია, რომ გოჩა აბუსერიძის მიერ შესრულებული დოკუმენტები არის გამართული, თანმიმდევრული და სათანადოდ დასაბუთებული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან, იგი არის გაწონასწორებული, თავდაჯერებული და მშვიდი. აღსანიშნავია, რომ გოჩა აბუსერიძე ღიად, ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებებს.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	გოჩა აბუსერიძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით და გააჩნია გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (99,6%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (92,2%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციაში.
პროფესიული აქტივობა	4	5	გოჩა აბუსერიძე გამოირჩევა პროფესიული აქტივობის კუთხით და მონაწილეობა აქვს მიღებული

			მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, იგი არის გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი და წარმოადგენს სხვადასხვა სამართლებრივი სტატიის ავტორს. ამჟამად კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა იგი იყო აკ.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი და იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი.
ქულათა ჯამი	97	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი გოჩა აბუსერიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გოჩა აბუსერიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, გოჩა აბუსერიძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ გოჩა აბუსერიძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ.		

	ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის* მახასიათებლის თაობაზე უნდა ითქვას, რომ გოჩა აბუსერიძეს რეკომენდატორები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, აფასებენ როგორც თავმდაბალ, გაწონასწორებულ, წესიერ, გულწრფელ და კორექტულ პიროვნებას. ამასთან უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით. მნიშვნელოვანია, რომ გოჩა აბუსერიძეს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ მას სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები. რაც შეეხება *დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,* კანდიდატის დახასიათებისას რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა სამართლიანობით, დამოუკიდებლობითა და პრინციპულობით. ასევე, გოჩა აბუსერიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი არის პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. უნდა ითქვას ისიც, რომ გოჩა აბუსერიძის მხრიდან ხანგრძლივი მოსამართლედ მუშაობის განმავლობაში არ გამოკვეთილა გარემოება, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. რაც შეეხება, გოჩა აბუსერიძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლის* თაობაზე მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ გოჩა აბუსერიძე იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აგრეთვე, საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ თუ ზოგად საკითხზე მსჯელობისას გამოავლინა, რომ იგი არის მშვიდი, თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. უნდა ითქვას ისიც, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს რაც შეეხება, გოჩა აბუსერიძის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნება და იგი გამოირჩევა კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გოჩა აბუსერიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, მის უვადოდ განწესებასთან და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, ამასთან, იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ გოჩა აბუსერიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (უფიქსირდება „დახურული ვადაგადაცილება") და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აგრეთვე, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე გოჩა აბუსერიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

	პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნის* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ გოჩა აბუსერიძე ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ კანდიდატი კარგად იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ გოჩა აბუსერიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის II ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 37-ე ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 10 დეკემბერს გოჩა აბუსერიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. გოჩა აბუსერიძე იყო პრეზენტაბელური, მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული და კორექტული. იგი თავისუფლად და ნათლად აყალიბებდა საკუთარ შეხედულებებს და საინტერესოდ აანალიზებდა აქტუალურ და პრობლემურ სამართლებრივ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ გოჩა აბუსერიძე უმეტესად ამომწურავად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს და ახერხებდა საკუთარი პოზიციის თანმიმდევრულად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად გადმოცემას. კანდიდატის *სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან* დაკავშირებით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ გოჩა აბუსერიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ იგი ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. გოჩა აბუსერიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი უნდა ითქვას, რომ იგი

[2] იხ. გოჩა აბუსერიძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=AEkFTA2X0aw

[3] სასამართლო გადაწყვეტილება: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N3/ბ-74-2016წ., პუბლიკაციები: The Rights of the Interested Persons According to ,,Law of Georgia on Enforcement Proceedings", „სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით", „პრევენციული დაცვის ღონისძიებები ადმინისტრაციულ სამართალში".

	გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში კარგად განმარტავს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. ამასთან, იგი არგუმენტებს გადმოსცემს ნათელი და მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი ენით. გოჩა აბუსერიძის მიერ შესრულებული დოკუმენტები არის გამართული, თანმიმდევრული და სათანადოდ დასაბუთებული. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. კანდიდატის *ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მას გააჩნია გამართული მეტყველების უნარი. იგი არის გაწონასწორებული, თავდაჯერებული და მშვიდი. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე გოჩა აბუსერიძე ღიად, ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებებს. გოჩა აბუსერიძის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან* დაკავშირებით, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინეებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (99,6%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (92,2%). კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა თვითგანვითარების უნარით, არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. გოჩა აბუსერიძე აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ადგილობრივ ან საერთაშორისო სემინარსა და კონფერენციაში. აგრეთვე, იგი არის გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი და წარმოადგენს სხვადასხვა სამართლებრივი სტატიის ავტორს. ამჟამად, კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა, იგი იყო აკ.წერეთლის სახელობის

	ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი და იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ გოჩა აბუსერიძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებლებთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 97 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გოჩა აბუსერიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

აბუსერიძე გოჩა

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - აბუსერიძე გოჩას შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** შეფასებისას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - გოჩა აბუსერიძის შეფასებისას მის შესახებ შემაჯამებელ ინფორმაციაში რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის ისეთ თვისებებზე როგორიცაა - კეთილსინდისიერება, ობიექტურობა, კორექტულობა, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, სამართლიანობა, გულწრფელობა, თავმდაბლობა, წესიერება, კარგი ანალიტიკური უნარები, კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, გაწონასწორებულობა.
მოსამართლეობის კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით შეფასებისას** კანდიდატი როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე, თანაბარი ყურადღებითა და პატივისცემით ეკიდება მოდავე მხარეთა კანონიერ ინტერესებსა და საპროცესო უფლებებს. მოსამართლე სრულად იცავს სასამართლო პროცესის მონაწილეებთან დამოკიდებულების ეთიკურ

		ნორმებს, გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. გოჩა აბუსერიძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს რომ კანდიდატი - გოჩა აბუსერიძე არის მშვიდი და ემოციურად გაწონასწორებული ადამიანი. კანდიდატი როგორც მოქმედი მოსამართლე იჩენს საჭირო თავაზიანობასა და პატივისცემას კოლეგების მიმართ. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, კანდიდატი დაზარალებულად ან პროცესის მხარედ/მონაწილედ არ ყოფილა წარმოდგენილი. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით შეფასებისას** გათვალისწინებული იქნა ისეთი გარემოებები, როგორიცაა მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. კანდიდატი კოლეგებსა და პროფესიულ წრეში სარგებლობს კეთილსინდისიერი პიროვნებისა და შრომისმოყვარე, კვალიფიციური იურისტის სახელით. **ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით მისი შეფასებისას** გათვალისწინებული იქნა მის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაცია კანდიდატის შემოსავლის წყაროს, მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების, ვალისა და ვალდებულების შესახებ. გოჩა აბუსერიძეს სახელმწიფოს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ გააჩნია, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარია
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით კანდიდატის შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, მათ შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე მაღალია. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები და უნდა ითქვას, რომ კანდიდატი, სწორად აცნობიერებს სამართლებრივი ნორმების შინაარსს და იყენებს მათ დანიშნულებისამებრ. გასაუბრებისას გოჩა აბუსერიძემ გამოავლინა სიღრმისეული ცოდნა როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო კანონმდებლობის. პრაქტიკულად, დასმულ ყველა შეკითხვაზე, მან გასცა სწორი და ამომწურავი პასუხები. თუმცა იყო ხარვეზებიც, კერძოდ, გოჩა აბუსერიძემ ბოლომდე ვერ წარმოაჩინა სიღრმისეული ცოდნა კონსტიტუციურ სამართალში. გოჩა აბუსერიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის II ჯგუფის მსმენელი (2009წ).
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება არის დამაჯერებლად დასაბუთებული, ფაქტობრივ გარემოებებს ადეკვატური სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული. უნდა აღინიშნოს, რომ გოჩა აბუსერიძე სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის გრ. რობაქიძის სახელობის

			უნივერსიტეტის დოქტორანტი. კანდიდატს მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან ერთად წარმოდგენილი აქვს 3 პუბლიკაცია. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ კანდიდატს აქვს სიღრმისეული ცოდნა როგორც სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ასევე სისხლის სამართალში.
წერის უნარი	18	20	**წერის უნარის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას აღსანიშნავია ისეთი გარემოებები როგორიცაა აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი. გოჩა აბუსერიძე წერილობით მოსაზრებებს აყალიბებს გამართულად, იურიდიულ ტერმინოლოგიას იყენებს ადექვატურად. გადაწყვეტილებებთან ერთად გაანალიზებული იქნა მის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციები და უნდა ითქვას, რომ გოჩა აბუსერიძე საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი (გრამატიკული) და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად, მისი წერილობითი მსჯელობა ლაკონური და ლოგიკურია. თუმცა გოჩა აბუსერიძე არც ისე იშვიათად იყენებს რთულ წინადადებებს.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის მახასიათებლით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - გოჩა აბუსერიძე მეტყველებს გარკვევით და მშვიდად, სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. აქვს სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარი. მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები არის ადვილად აღსაქმელი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - გოჩა აბუსერიძე პროცესებს წარმართავს მშვიდად და გაწონასწორებულად. მოსამართლე პროცესის მონაწილე მხარეებს მიმართავს თავაზიანად, მათ მიმართ ამჟღავნებს სათანადო პატივისცემას. მოსამართლე განუმარტავს მხარეებს მათ საპროცესო უფლებებს და მიუთითებს პასუხისმგებლობაზე. მოსამართლე ზედმიწევნით იცავს

			სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. საპროცესო ვადების დაცვის კუთხით, მის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაციის მიხედვით ამ მხრივ არსებული ინფორმაცია შემდეგია: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 99,6%; ვადის დარღვევით - 0,4%. გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -57%; ვადის დარღვევით - 43%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 92,2%; შეცვლილი -7,8%. მოცემული პროცენტული მაჩვენებელი გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვისა საკმაოდ მაღალია.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ გოჩა აბუსერიძე სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ საქმიანობას (2012-2020 წლებში - აკ.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი; 2017 წლიდან - იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენერი მიმართულება: ქალთა წინააღმდეგ ძალადობა და ოჯახში ძალადობა). ის მუდმივად ცდილობს გაიღრმავოს ცოდნა და გააუმჯობესოს მისი პროფესიული უნარ-ჩვევები, მუდმივად ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ სიახლეებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** უნდა აღინიშნოს რომ გოჩა აბუსერიძეს აქტიურად აქვს მონაწილეობა მიღებული სამართლებრივი სისტემის და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებში, შეხვედრებსა და სემინარებში (გოჩა აბუსერიძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: „ადამიანის უფლებათა დაცვა"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი); „ადმინისტრაციულ სამართალში ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ.

			თბილისი); „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვის პრობლემატური საკითხები"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი); „სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი); „სამოსამართლო ქცევა და ეთიკა"; სემინარი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა. (ქ. თბილისი); „საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე სუსტი მხარის დაცვის თავისებურებანი სასამართლოში"; ესტონეთის განვითარების თანამშრომლობა; ესტონეთი; The Rights of the Interested Persons According to „Law of Georgia on Enforcement Proceedings"- ევრაზიის მესამე მულტიდისციპლინარული ფორუმი, EMF 2015; საერთაშორისო კონფერენცია; საარჩევნო დავების გადაწყვეტა და სხვა.)
ქულათა ჯამი	95	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21